

ჰარდ
ბუსმავ
იუნბი

ანდრიზური
ფსიქოლოგიის
საფუძვლები

კარლ გუსტავ იუნგი
ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები

Carl Gustav Jung
ÜBER GRUNDLAGEN DER ANALYTISCHEN PSYCHOLOGIE:
DIE TAVISTOCK LECTURES

გერმანულიდან თარგმნა ირინა ჯიოევმა
რედაქტორი ლევან ბრეგაძე

© 1989 Routledge
© 2007 Foundation of the Works of C. G. Jung, Zürich

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2003, 2023
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-786-2
[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

სარჩევი

შესავალი.....	7
პირველი ლექცია.....	13
კამათი.....	43
მეორე ლექცია	63
კამათი.....	93
მესამე ლექცია	115
კამათი.....	149
მეოთხე ლექცია.....	163
კამათი.....	195
მეხუთე ლექცია.....	213
კამათი.....	259

შესავალი

1935 წელს ან განსვენებულმა პროფესორმა კ. გ. იუნგმა, რომელიც მაშინ მესამოცე წელში იყო გადამდგარი, ლონდონის ტავისტოკის კლინიკაში¹ ორასამდე ექიმის წინაშე ხუთი ლექცია წაიკითხა. ეს ლექციები თანმხლები დისკუსიებითურთ მერი ბეიკერმა და მარგარეტ გეიმმა ბეჭდური სახით გაამრავლეს. ამჯერად ყოველივე ეს წიგნად გამოიცემა.

პუბლიკისათვის იუნგის შრომები ცნობილი იყო, მაგრამ ცოტას თუ მოესმინა მანამდე მისი საუბარი. ლექციებმა მიიზიდა ყველა მიმართულების ფსიქოთერაპევტთა და ფსიქიატრთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, ნევროლოგიური კლინიკების თანამშრომლები, აგრეთვე რამდენიმე ზოგადი პრაქტიკოსი ექიმი. იუნგი, ჩვეულებრივ, ერთი საათის განმავლობაში კითხულობდა ხოლმე ლექციას და შემდეგომ საათს კამათს უთმობდა. მისმა უჩვეულო მასალამ, არაფორმალურმა სტილმა და ინგლისური სალაპარაკო ენის განსაცვიფრებელმა ფლობამ თავიდანვე ძალდაუტანებელი და ხალისიანი ატმოსფერო შექმნა, და დისკუსიათა ხანგრძლივობა წინასწარ განსაზღვრულ დროს ბევრად აჭარბებდა ხოლმე.

¹ 1920 წელს დაარსებული The Tavistock Square Clinic 1931 წელს გადაკეთდა The Institute of Medical Psychology-დ, რამდენიმე წლის შემდეგ კი მას The Tavistock Clinic ეწოდა.

იუნგი მხოლოდ იმ პრინციპული დებულებებით შემოიფარგლა, რომელთაც მისი თვალსაზრისი ეფუძნებოდა და რომლებიც მან ორ ძირითად თემად ჩამოაყალიბა: ფსიქიკის სტრუქტურა და მისი შინაარსები; მათი კვლევის მეთოდები.

ცნობიერება იუნგმა განსაზღვრა, როგორც „ფსიქიკურ ფაქტთა კავშირი „მე“-დ წოდებულ ფაქტთან“, რომლის ხასიათიც ამა თუ იმ ადამიანის განწყობის ზოგად ტიპზე – ექსტრავერტობასა თუ ინტროვერტობაზეა დამოკიდებული. გარე სამყაროს „მე“ უკავშირდება ოთხი ფუნქციის – აზროვნების, გრძნობის, შეგრძნებისა და ინტუიციის მეშვეობით. ვინაიდან „მე“, ცნობიერების ცენტრი, არაცნობიერიდან წარმოდგება, ამიტომ ცნობიერებასა და მის ფუნქციებს ისე ვერაფერს გაუფგებთ, თუ არ მოვიშველიეთ ჰიპოთეზა პიროვნული და კოლექტიური არაცნობიერის შესახებ. ყოველივე ამის ურთიერთმიმართებამ, ისევე როგორც ფუნქციათა არსმა, უამრავი საკითხი წამოჭრა, და იუნგმა ძალზე ნათლად ახსნა, რასაც გულისხმობდა ამ ცნებებში, რომელთაგან მრავალი მან თვითონ შემოიღო ანალიზურ ფსიქოლოგიაში.

იმ მეთოდთა განმარტებისას, რომელთაც იგი არაცნობიერი მშვინვიერი² აქტივობის კვლევისას მიმართავდა, იუნგმა ისაუბრა ასოციაციის ექსპერიმენტის, სიზმრის ანალიზისა და აქტიური წარმოსახვის (Imagination) შესახებ. ზოგი მსმენელი გააკვირვა იმ მნიშვნელობამ, რომელსაც იგი ასოციაციის ექსპერიმენტს ანიჭებდა, – ის ხომ, რა ხანია, ხმარებიდან გამოსული იყო. მაგრამ იუნგმა, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ ისაუბრა ამაზე, რომ მის ადრეულ

² ძველ ქართულში რუს. душа-ს, გერმ. die Seele-ს ეკვივალენტად არსებობდა სიტყვა „სამშვინველი“. ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ მისი აღდგენა, რამდენადაც უკანასკნელ ხანებში შემოღებული ტერმინოლოგია: გონი – дух – der Geist; სული – душа – die Seele, როგორც ცნობილია, ხშირად ვერ ამართლებს. „მშვინვიერიც“ ძველი ქართული სიტყვაა (მშვინვიერი – რუს. душевный, გერმ. seelisch). ამრიგად, მოცემულ თარგმანში გატარებულია შემდეგი ტერმინოლოგია: der Geist – дух – სული; die Seele – душа – სამშვინველი. შესაბამისად, geistig – духовный – სულიერი; seelisch – душевный – მშვინვიერი (მთარგმ.).

კვლევებში ასოციაციის ექსპერიმენტი მთავარ ადგილს იკავებდა. როდესაც მან, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასისტენტმა, ციურისში, ბურგჰოლცლის კლინიკაში დაიწყო მუშაობა სულიერი დაავადებების იდუმალებათა საკვლევად, კოდიფიცირებული ფსიქოლოგიური ცოდნა ჯერ კიდევ არ არსებობდა. სიტყვათა ასოციაციებზე მის მიერ ჩატარებულმა ცდებმა მოულოდნელი და მეტად მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. მათგან უმნიშვნელოვანესაგანთ განეკუთვნებოდა არაცნობიერის ავტონომიური ბუნების აღმოჩენა. ის ვარაუდი, რომ არსებობს მშვინვიერი აქტივობა ცნობიერების მიღმა, კარგა ხნით ადრე არსებობდა, ვიდრე ფროიდი ან იუნგი კლინიკაში მისი გამოყენების იდეამდე მივიდოდნენ. დახვეწა რა ასოციაციის ექსპერიმენტი, იუნგმა დაასაბუთა ეს ჰიპოთეზა, და გრძნობითი ტონით შეფერილ კომპლექსებზე მითითებით დაადასტურა ფროიდის განდევნის თეორია. თავდაპირველად სიტყვა-გამლიზიანებლებზე პასუხი ერთადერთი სიტყვით შემოიფარგლებოდა; იუნგმა კი შენიშნა, რომ ეს ამცირებს ტესტის ღირებულებას და საჭიროდ მიიჩნია ტექნიკური ცვლილებები შემოეტანა. თუ ადრე მხოლოდ რეაქციის დროის გაზომვა ხდებოდა, ახლა მან ტესტს დაურთო მექანიკური აღრიცხვები, რაც გრაფიკულ მონაცემებს იძლეოდა პულსზე, სუნთქვაზე და კანის ელექტრული წინააღობის რაოდენობრივ ცვლილებებზე ემოციების გავლენის შესახებ. იმ აღმოჩენამ, რომ სხეული და სამშვინველი რეაგირებენ როგორც ერთი მთლიანი, იუნგი პირველ კლინიკოსად აქცია, ვინც შეიცნო ემოციათა თანმხლები ფიზიოლოგიური მოვლენების მნიშვნელობა, რომლებიც დღეს ყველასათვის ცნობილია როგორც ფსიქოსომატური ფენომენები.

გადააბიჯა რა საზღვარს სიზმართა ქვეყნისაკენ, როგორც თავად ბრძანებდა, იუნგმა ისაუბრა სიზმრის პიროვნული და კოლექტიური ელემენტების შესახებ, პირველ რიგში – სიზმრის ანალიზის, თავისი უმნიშვნელოვანესი თერაპიული საშუალების, შესახებ: „სიზმარს საამკარაოზე გამოაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა“. ერთხელ რომელიღაც ჩახლართულ კითხვაზე მან გერმანულად გასცა პასუ-

ხი, რამაც კითხვის დამსმელი გააოგნა. როცა საქმეში თავმჯდომარე ჩაერია, მან ლიმილით შენიშნა, ხომ ხედავთ, არაცნობიერი მართლაც ავტონომიურად მოქმედებსო. იუნგი მარტოოდენ მომავადობელი მჭევრმეტყველი როდი იყო, ის სიტყვებს დიდი სიფრთხილითაც არჩევდა, და შესანიშნავად ეხერხებოდა გასაგებად, დოქტრინალური ჟარგონის გარეშე გადმოეცა, რისი თქმაც სურდა.

მეოთხე ლექციაში იუნგმა წარმოადგინა არქეტიპული მოტივების შემცველი სიზმრის ინტერპრეტაცია და განმარტა თავისი ამპლიფიკატორული მეთოდი. მან აჩვენა, რომ სიზმრის ახსნისას პარალელური გამოვლინებებით ამპლიფიკაცია³ ფილოლოგიაში მიღებულ შედარებით მეოღს შეესატყვისება. მიუთითა რა ცნობიერებასა და არაცნობიერს შორის არსებულ კომპენსატორულ კავშირზე, სამშენველი მან აღწერა როგორც თვითრეგულირებადი სისტემა, რომელიც სხეულის ჰომეოსტაზურ მექანიზმებს შეიძლება შევადაროთ.

სამწუხაროდ, დრო აღარ დარჩა უჩვეულოდ საინტერესო სიზმრის ანალიზის ბოლომდე მისაყვანად, და იუნგმა განიზრახა, ეს დანაკლისი ბოლო ლექციაზე აენაზღაურებინა, მაგრამ დოქტ. ჰიუ კრიხტონ-მილერმა წინადადება წამოაყენა, იქნებ უმჯობესი ყოფილიყო, იუნგს გადატანის რთულ პრობლემაზე ესაუბრაო, რასაც დამსწრეებმა მხარი დაუჭირეს. იუნგმა გადატანა განმარტა, როგორც პროექციის უფრო ზოგადი მოვლენის კერძო შემთხვევა და მიუთითა, რომ ზოგჯერ ის ანალიზის მთავარ პრობლემად იქცევა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იუნგი ანალიტიკოსის გამოცდილებასა და საზრიანობას, როცა საქმე ორმხრივ გადატანასთან გვაქვს. გადატანის მიზეზებმა და მისმა სავსებით სპონტანურმა, არაპროვოცირებულმა აღმოცენებამ ის მიიყვანა იქამდე, რასაც თვითონ გადატანის მიძიმე და რთულ თერაპიას უწოდებდა.

³ ამპლიფიკაცია (ლათ. amplification – გაფართოება, განვრცობა) – სტილისტური ხერხი – ეპითეტთა, სინონიმთა, შედარებათა უხვად ხმარება ფრაზაში ექსპრესიულობის გაძლიერებისა და აზრის გამოკვეთის მიზნით (მთარგმ.).

მიუხედავად იმისა, რომ ასე მოკლე იყო გადატანის პრობლემის მიმოხილვა, ის ამ თემაზე იუნგის შემდეგომი დაძაბული მუშაობის გასაოცარ შესავლად იქცა. 1946 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა მისი „გადატანის ფსიქოლოგია“, სადაც მას გადატანის ცნების შინაარსი არ შეუცვლია, მაგრამ მისი გაგება უფრო გააღრმავა. უფრო გვიან გამოცემულ „Mysterium Coniunctionis“-ში კი იუნგს ლაპარაკი აქვს „თვითონის“ა და „მე“-ს სტრუქტურის, გადატანისა და ორმხრივი გადატანის ბუნებისა და ინდივიდუაციის პროცესის შესახებ.

უკანასკნელ დისკუსიაში მას ჰკითხეს, თუ რა აზრით ხმარობდა გამოთქმას „აქტიური წარმოსახვა“, რასაც ვრცელი განმარტება მოჰყვა. იუნგმა აღწერა ანალიზის მსვლელობაში აქტიური წარმოსახვის მიზნობრივი და შემოქმედებითი ხასიათი და აჩვენა, თუ როგორ შეიძლება ის სპონტანურ ხატვა-ხაზვასთან დაკავშირდეს თერაპიული მიზნებით. დამსწრეთაგან ზოგი სახტად დარჩა, როცა გაიგო, რომ ის ხშირად ურჩევდა პაციენტებს, ფანქრისა თუ ფუნჯის მეშვეობით გამოეთქვათ, რაც ანუხებდათ. ასეთი საქმიანობა თურმე დიდად სასარგებლოა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც თავის ფანტაზიებს სიტყვიერად ვერ გამოხატავს. გარდა ამისა, ეს პაციენტებს საშუალებას აძლევს თავისუფალ დროს აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთ გამოჯანსაღებაში.

იუნგი გარდაიცვალა 1961 წელს, ოთხმოცდაექვსი წლისა, მაშასადამე, ამ ლექციების წაკითხვიდან ოცდაექვსი წლის შემდეგ. ამ დროის განმავლობაში მან მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა, რომლებშიც იგრძნობა თანდათანობითი განვითარება და გაღრმავება, განსაკუთრებით – გამოკვლევებში არაცნობიერისა და მისი მნიშვნელობის შესახებ მშვიდვიერი ჯანმრთელობისა თუ ავადმყოფობის გაგებაში. წინამდებარე ლექციები ჩინებულად ამზადებს მკითხველს იმ საფუძვლების გასაცნობად, რომელთაც იუნგის შემოქმედება ეყრდნობა. ლექციები სისტემატურ ხასიათს ატარებენ და მაინც არაფორმალურნი არიან; იუნგის ნაუბარის ჩანაწერი მკაფიო შთაბეჭდილებას გვიქმნის მისი პიროვნების შესახებ.

ე. ა. ბენტი

ვინაიდან გერმანული გამოცემა კ. გ. იუნგის სიკვდილის შემდეგ (1961) ქვეყნდება, მის მიერ ჩამოყალიბებული ცნებები, რომელთაც შემდეგომი ნაწილობრივ მოდიფიკაცია განიცადეს, ისევე დატოვებული, როგორც იგი მაშინ ხმარობდა.

გამომცემლობა

პირველი ლექცია

თავმჯდომარე, დოქტ. ჰ. კრისტონ-მილერი:

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ, ყველა თქვენგანის სახელით გულთბილად მივესალმო ბატონ პროფესორ იუნგს. გამოგიტყდებით, დიდ ბედნიერებას მანიჭებს ამის უფლება. ბატონო პროფესორო, ეს რამდენიმე თვეა, თქვენი ვიზიტის სასიხარულო მოლოდინით ვიყავით აღვსილნი. უთუოდ, მრავალი ჩვენგანი ამ სემინარებზე შემეცნებითი სიახლეების შექმნას იმედოვნებს. ვფიქრობ, უმეტესობა ჩვენგანს იმედი აქვს, რომ საკუთარი თავის შესახებ მიიღებს ახალ ინფორმაციას. მრავალი აქ დამსწრისათვის თქვენ წარმოადგენთ ადამიანს, რომელმაც თანამედროვე ფსიქოლოგია იხსნა სხვა სულიერი მეცნიერებებისგან სახიფათოდ გამიჯვნის საფრთხისგან. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ თქვენი სულიერი გამბედაობითა და ჰორიზონტის სიფართოვით – თვისებებით, რომლებმაც თქვენ შესაძლებლობა მოგცათ დაგეკავშირებინათ ფსიქოლოგია და ფილოსოფია, თუმცა ზოგ-ზოგებს ეს მოსაწონად არ მიაჩნიათ. თქვენ განაახლეთ ფსიქოლოგიურ აზროვნებაში ღირებულებათა საზრისის, ადამიანის თავისუფლების პრობლემა, თვალი აგვიხილეთ ბევრ რამეზე, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეთ მრავალ ჩვენგანს; და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ადამიანის სამშენველის კვლევა თქვენთვის არ წყდება იქ, სადაც ბუნებისმეტყველების შესაძლებლობები ამოწურულია. ამ და რიგ სხვა მიზეზთა გამო, რომლებიც პირადი ხასიათისაა თითოეული ჩვენთაგანისათვის, მადლობას გიცხადებთ და დაძაბული ინტერესით ველით თქვენთან შეხვედრებს.

კ. ბ. იუზენი:

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ინგლისური არ არის ჩემი მშობლიური ენა, რის გამოც გთხოვთ შემწყნარებლობა გამოიჩინოთ ჩემი გაუმართავი მეტყველებისა და შეცდომების მიმართ.

როგორც იცით, ჩემი ამოცანაა ფსიქოლოგიის ზოგიერთი ძირითადი საკითხის მოკლე მიმოხილვა. ამასთან, რაკი ჩემს პრინციპებსა და თვალსაზრისს წამოვწევ წინა პლანზე, ნუ იფიქრებთ, რომ მე არ ვაფასებ სხვა მკვლევართა მიერ ამ სფეროს შესწავლაში შეტანილი დიდი წვლილის მნიშვნელობას. საკუთარ დამსახურებას როდი ვაზვიადებ; უბრალოდ, ვგულისხმობ, რომ ფროიდისა და ადლერის ღვაწლის შესახებ თავადაც ჩინებულად მოგეხსენებათ.

ახლა შევუდგეთ საქმეს. უწინარეს ყოვლისა, ორიოდ სიტყვით გაგაცნობთ პროგრამას. ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ორ ძირითად სფეროზე: ჯერ ერთი, **არაცნობიერის სტრუქტურასა და შინაარსებზე** და, მეორე, **მეთოდებზე**, რომელთაც მივმართავ ხოლმე არაცნობიერი ფსიქიკური პროცესიდან გამოვლენილ შინაარსთა კვლევისას. მეორე სფერო, თავის მხრივ, სამ ნაწილად იყოფა: 1. ასოციაციის ექსპერიმენტი; 2. სიზმრის ანალიზი; 3. აქტიური წარმოსახვა.

რასაკვირველია, ჩემთვის სრულიად შეუძლებელია ახლა ყოველივე ის გადმოგცეთ, რაც შეიძლება ითქვას ისეთი რთული თემების შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, ჩვენი დროის კოლექტიური ცნობიერებისთვის დამახასიათებელი ფილოსოფიური, რელიგიური, ეთიკური და სოციალური პრობლემები, ანდა კოლექტიურ არაცნობიერში მიმდინარე პროცესებისა და მათ ნათელსაყოფად საჭირო კვლევების შესახებ შედარებითი მითოლოგიისა და ისტორიის სფეროში. რაც უნდა განყენებული გვეჩვენებოდეს ეს თემები, ისინი მაინც ინდივიდთა შინაგანი მდგომარეობის წარმოქმნის, რეგულაციისა და დარღვევის უძლიერეს ფაქტორებს წარმოადგენენ,

და სწორედ ისინი განაპირობებენ დივერგენციებს ფსიქოლოგიურ თეორიათა სფეროში. თუმცა მე ექიმი ვარ და, ამიტომ, უმთავრესად ფსიქოპათოლოგიაა ჩემი საქმიანობის სფერო, დარწმუნებული ვარ, რომ ფსიქოლოგიის სწორედ ეს დარგი საბოლოო ჯამში მხოლოდ მოგებას ნახავს, თუკი ნორმალური მშვინვეერი ცხოვრების შესახებ გაიღრმავებს და გაიფართოვებს ცოდნას. ექიმს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ავადმყოფობები ნორმალური პროცესების დარღვევებია და არა *entia per se*,¹ მხოლოდ და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიით. *Similia similibus curantur*² ძველი მედიცინის ყურადსაღები ჭეშმარიტებაა და, ისევე როგორც ყველა დიდი ჭეშმარიტება, ისიც შეიძლება უდიდეს უაზრობად იქცეს. ასე რომ, სამედიცინო ფსიქოლოგია ფრთხილად უნდა იყოს, თვითონ არ დაავადდეს. ცალმხრივობა და ჰორიზონტის შეზღუდვა ხომ ნევროზის საყოველთაოდ ცნობილი მახასიათებელია.

რა ვქნა, რაზეც უნდა გესაუბროთ, – ტყუილია, დასრულებით ვერაფერს დავასრულებ. სამწუხაროდ, ვერ შევძლებ შევეხო მრავალ ახალ თეორიას, ვინაიდან ბუნებით უფრო ემპირიისკენ ვარ მიმართული და ახალ ფაქტებს უფრო ვეტანები, ვიდრე მათ შესახებ სპეკულაციას, თუმცაღა, ვალიარებ, რომ ეს უკანასკნელი სასიამოვნო ინტელექტუალური გასართობია.

ყოველი ახალი შემთხვევა ჩემთვის თითქმის ახალი თეორიაა, და იქნებ ჩემი თვალსაზრისი არც ისე უვარგისი აღმოჩნდეს, თუ კაცი დაუფიქრდება, რა ახალგაზრდაა ჯერ კიდევ თანამედროვე ფსიქოლოგია. მე რომ მკითხოთ, ის ჯერ აკვანს არ გასცილებია. ასე რომ, ზოგადი თეორიების ხანა დღეისთვის ნამდვილად არ მომწიფებულა. ხანდახან ისიც კი მეჩვენება, რომ ფსიქოლოგიას ჯერაც ვერ გაუტანობიერებია ვერც თავისი ამოცანის გიგანტური მასშტაბები და ვერც თავისი ობიექტის – ფსიქიკის შემაცბუნებლად და დამთრგუნველად რთული ბუნება. ეტყობა, ეს აზრი ჯერ კიდევ მძიმედ შემოდის ჩვენს

¹ რაიმე თავისთავადნი (ლათ.).

² მსგავსი მსგავსს ჰკურნავს (ლათ.).

ცნობიერებაში და ნესიერად ვერც კი წარმოგვიდგენია, თუ რას ნიშნავს ის, რომ სამშენიველი, ერთის მხრივ, მეცნიერული კვლევისა და დაკვირვების **ობიექტია** და, ამავე დროს, მეორე მხრივ, მისი სუბიექტიცაა, ე. ი. **საშუალება**, რომლითაც ეს დაკვირვება იწარმოება. ამ საშიში მოჯადოებული წრის გაცნობიერებამ უკიდურეს წინდახედულებას მიმართავს და შეხედულებათა ჭეშმარიტობის ფარდობითობის აღიარებამდე მიმიყვანა, ეს კი გაუგებრობას იწვევს ხოლმე.

არ მინდა ჩემი თხრობა კრიტიკული შენიშვნებით გადავტვირთო, – ეს მხოლოდ ხელს თუ შეგვიშლის. მე, უბრალოდ, წინანარბოდიშს ვიხდი ერთი შეხედვით ზედმეტი გართულებებისთვის. თეორიები მე ნაკლებად მაინტერესებს, ვიდრე ფაქტები. ამრიგად, გთხოვთ გახსოვდეთ: ჩემს განკარგულებაში არსებული მცირე დროის განმავლობაში არ შემიძლია გადმოვცეთ მთელი ის მასალა, რომელსაც ჩემი დასკვნები ეფუძნება, – უპირველეს ყოვლისა, აქ ვგულისხმობ სიზმრის ანალიზის ვრცელ განშტოებებსა და არაცნობიერ პროცესთა კვლევის შედეგებით მეთოდს. აქ მე თქვენი გამგებიანობისა და მხარდაჭერის იმედი მაქვს; თუმცა, ცხადია, პირველ რიგში ჩემზეა დამოკიდებული ამ საკითხების შეძლებისდაგვარად მარტივად გადმოცემა.

ფსიქოლოგია, უწინარეს ყოვლისა, არის მეცნიერება ცნობიერების შესახებ. შემდეგომ, იგი არის მეცნიერება იმის პროდუქტთა შესახებ, რასაც ჩვენ არაცნობიერ მშენივერ ცხოვრებას ვუწოდებთ. უშუალოდ არაცნობიერის კვლევა არ ძალგვიძის სწორედ იმიტომ, რომ ის არაცნობიერია და ამის გამო ჩვენ მასთან მისადგომი არ გაგვაჩნია. ჩვენ მხოლოდ ცნობიერ მოცემულობებს შეგვიძლია ჩავეჭიდოთ, რომელთა შესახებაც ვვარაუდობთ, რომ მათ ფესვები იმ სფეროში უნდა ჰქონდეთ გადგმული, ჩვენ რომ არაცნობიერს ვუწოდებთ, – „ბნელ წარმოდგენათა“ სფეროში, რომელნიც, ფილოსოფოს კანტის **ანთროპოლოგიის**³ მიხედვით, სამყაროს ნახევარს შეადგენენ. რაც არ უნდა ვთქვათ არაცნობიერის შესახებ, ყველა-

³ KANT, Anthrologie in pragmatischer Hinsicht, | ნაწილი, წიგნი I, § 5.

ფერს ხომ ცნობიერი სული გამოთქვამს. არაცნობიერი მშვინვიერი ცხოვრება აბსოლუტურად უცნობი ბუნებისაა. მაგრამ ის გამოხატულებას პოულობს ცნობიერებასა და ცნობიერების წანამძღვრებში, – ეს არის და ეს, ამაზე შორს ვერ მივდივართ, და ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ესა ჩვენი განსჯის უკანასკნელი კრიტერიუმი.

ცნობიერება უცნაური რამაა. ის წყვეტილი ფენომენია. ადამიანის ცხოვრების მეხუთედი თუ მესამედი ან, იქნებ, ნახევარიც კი სანახევროდ არაცნობიერ მდგომარეობაში მიმდინარეობს. ჩვენი ბავშვობის პირველი ხანა არაცნობიერად გადის, ყოველ ღამით არაცნობიერში ვიძირებით, და მხოლოდ განსაზღვრულ შუალედებში სიფხიზლესა და ძილს შორის ვფლობთ მეტ-ნაკლებად ნათელ ცნობიერებას. კაცმა რომ თქვას, ისიც საკითხავია, რამდენად ნათელია ეს ცნობიერება. ასე, მაგალითად, ათი წლის ბავშვი თითქოსდა უკვე ცნობიერად მოქმედებს, მაგრამ ადვილი საჩვენებელია, რომ აქ რალაც უცნაურ ცნობიერებასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, ეტყობა, ცნობიერებასთან, ოღონდ ყოველგვარი „მე“-ცნობიერების გარეშე. რამდენი ბავშვი ვიცი, რომ თერთმეტი, თორმეტი, თოთხმეტი წლის ასაკში, ან უფრო გვიანაც კი, უეცრად განიცდიან: „მე ვარ“. ცხოვრებაში პირველად გრძნობენ ისინი, რომ **თვითონ** განიცდიან, რომ შეუძლიათ ჩაიხედონ წარსულში, რომელიც შეიცავს მოგონებებს ნივთების, მაგრამ არა მათი საკუთარი თავის შესახებ.

უნდა ვაღიაროთ, რომ როცა ვამბობთ: „მე“, არ გაგვაჩნია აბსოლუტური კრიტერიუმი, ყველაფერი ვიცით ამ „მე“-ს შესახებ თუ არა. შესაძლებელია, ჩვენი ცოდნა „მე“-ს შესახებ ჯერ ისევ ფრაგმენტულია, და შემდეგომში შეიძლება ადამიანებმა გაცილებით მეტი რამ იცოდნენ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს „მე“ ადამიანისთვის, ვიდრე ჩვენ ვუნწყით დღესდღეობით. მართლაც, ჩვენ ხომ წარმოდგენაც არა გვაქვს, თუ რა შედეგებს მოიტანს კიდევ ეს პროცესი.

ცნობიერება წააგავს ზედაპირს ან აპკს, გადაჭიმულს იმ ვრცელ არაცნობიერ სფეროზე, რომლის ტევადობა ჩვენთვის უცნობია.

რამდენადაც ჩვენ არაფერი ვიცით არაცნობიერის შესახებ, ამდენად არც მისი სამფლობელოს შემოფარგვლა ძალგვიძს. რაც არ ვიცით, რა არის, იმაზე რა უნდა ვთქვათ. როდესაც ვამბობთ: „არაცნობიერი“, ხშირად გვგონია, რომ ამით რაღაც კონკრეტულს გამოვხატავთ, სინამდვილეში კი, უბრალოდ, იმას გამოვთქვამთ, რომ არ ვიცით, რა არის არაცნობიერი. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ არაპირდაპირი საბუთი მოგვეპოვება იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ცნობიერების ზღურბლს ქვემოთ არსებობს ფსიქიკური სფერო; აგრეთვე რამდენიმე მეცნიერულად გამძლე არგუმენტიც გაგვაჩნია. შინაარსებიდან, რომლებიც არაცნობიერს ამოაქვს, ზოგი რამ შეგვიძლია დავასკვნათ მისი არსის შესახებ. მაგრამ დასკვნების გამოტანისას საქმეს მეტისმეტად ანთროპომორფულად არ უნდა მივუდგეთ, რადგან საკვებით შესაძლებელია, ნივთები სინამდვილეში სულ სხვაგვარი იყოს, ვიდრე მათ ჩვენი ცნობიერება ხედავს.

ასე, მაგალითად, თუ კონკრეტულ სინამდვილეს შევადარებთ იმას, რასაც მისგან ჩვენი ცნობიერება ქმნის, ნაირგვარ შინაგან ხატებებს ნავანყდებით, რომლებიც „ობიექტურად“ სრულიადაც არ არსებობენ. ასე, მაგალითად, ვხედავთ ფერებს და გვესმის ტონები, მაშინ როცა სინამდვილეში მხოლოდ რხევები არსებობს. ჩვენ გვესაჭიროება ლაბორატორიები ურთულესი აპარატურით, რათა შევძლოთ წარმოდგენა შევიქმნათ იმის შესახებ, თუ როგორია სამყარო ჩვენი შეგრძნების⁴ ორგანოებისა და ფსიქიკისგან დამოუკი-

⁴ ვხმარობთ: „შეგრძნების ორგანოები“, ან „ფიზიკური შეგრძნების ორგანოები“, როგორც ეს მეცნიერულად ზუსტია, და არა: „გრძნობის ორგანოები“, – მით უმეტეს, რომ კ. გ. იუნგი თავად არაერთგზის გამოთქვამს აზრს ამ მიმართულებით (იხ. ქვემოთ, შეგრძნებისა და გრძნობის განსხვავების თაობაზე). შესაბამისად, ვხმარობთ: შეგრძნებადი (ან: ფიზიკურად შეგრძნებადი, ფიზიკურშეგრძნებადი) სამყარო, ფიზიკურშეგრძნებითი შემეცნება და ა. შ. მაშასადამე, მოცემულ თარგმანში გატარებულია შემდეგი ტერმინოლოგია: das Gefuehl – чувство – გრძნობა; die Empfindung – ощущение – შეგრძნება, და შესაბამისად ამისა იხმარება მათგან წარმოებული სიტყვებიც. რაც შეეხება Sinn (sinnlich)-ს, ის მიუთითებს, ერთის მხრივ, შეგრძნებით (იხ. ქვემოთ) და, მეორეს მხრივ, ხორციელ, ფიზიკურ ასპექტზე. ამიტომ მას ვთარგმნით როგორც შეგრძნებითს („ფიზიკურშეგრძნებითს“).